



**ბუღალტრული აღრიცხვის,  
ანგარიშგებისა და აუდიტის  
ზედამხედველობის სამსახური**

29 მაისი 2024



N111853

ქ. თბილისი

**ბ რ ძ ა ნ ე ბ ა**

**შპს "თი ჯი ემ ჯგუფი"-სთვის პასუხისმგებლობის დაკისრების შესახებ**

„ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ კანონის (შემდგომ - კანონი) 26-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „სამსახური სუბიექტს რისკების მართვის სისტემის საფუძველზე შეისწავლის. რისკების მართვის სისტემაში არსებული და საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შემოსავლების სამსახურის მიერ მიწოდებული ინფორმაციის ანალიზის საფუძველზე სამსახური იღებს სუბიექტისათვის პასუხისმგებლობის დაკისრების თაობაზე გადაწყვეტილებას“.

რისკების მართვის სისტემაში არსებული და სსიპ შემოსავლების სამსახურის მიერ მიწოდებული ინფორმაციის ანალიზის საფუძველზე, შპს "თი ჯი ემ ჯგუფი" (შემდგომ - სუბიექტი; ს/ნ - 405347058, მისამართი: საქართველო, თბილისი, ვაკის რაიონი, ვაჟა-ფშაველას გამზირი N51, კორპუსი N12, ბინა N7) 2022 წლის საანგარიშგებო პერიოდის მიზნებისთვის წარმოადგენს პირველი კატეგორიის ჯგუფის მშობელ საწარმოს.

კანონის მე-9 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, „სუბიექტი (გარდა არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირისა) ვალდებულია მისთვის ამ კანონით დადგენილი ფინანსური ანგარიშგება (მათ შორის, კონსოლიდირებული ანგარიშგება), მმართველობის ანგარიშგება (მათ შორის, კონსოლიდირებული ანგარიშგება), სახელმწიფოს მიმართ განხორციელებული გადახდების შესახებ ანგარიშგება და ამ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში აუდიტორული დასკვნა ერთად, დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს საანგარიშგებო პერიოდის მომდევნო წლის 1 ოქტომბრისა, წარუდგინოს სამსახურს მის მიერ დადგენილი წესით“. ამავე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, „თუ სუბიექტის საანგარიშგებო პერიოდი არ ემთხვევა კალენდარულ წელს, იგი ვალდებულია სამსახურს წარუდგინოს ანგარიშგება მისი ხელმისაწვდომობისთანავე, დაუყოვნებლივ, მაგრამ საანგარიშგებო პერიოდის დასრულებიდან არაუგვიანეს 9 თვისა“. სუბიექტის მიერ კონსოლიდირებული ანგარიშგება სამსახურისთვის წარდგენილი არ არის კანონით დადგენილ ვადაში.

კანონის 26-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, ზემოაღნიშნული დარღვევა იწვევს სუბიექტის დაჯარიმებას, ხოლო ამავე მუხლის მეორე პუნქტის საფუძველზე, ფულადი ჯარიმის ნაცვლად სამსახური უფლებამოსილია სანქციის სახით გამოიყენოს წერილობითი გაფრთხილება. წერილობითი გაფრთხილების შეუსრულებლობა იწვევს სუბიექტის დაჯარიმებას.

კანონის მე-9 მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტების, 26-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების საფუძველზე,

### ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. სუბიექტს დაეკისროს ჯარიმა 10 000 (ათი ათასი) ლარის ოდენობით.
2. სუბიექტს დაევალოს ანგარიშგების ატვირთვის ჩანართში ატვირთვის კანონით დადგენილი სტანდარტის შესაბამისად მომზადებული აუდიტირებული კონსოლიდირებული ფინანსური და მმართველობის ანგარიშგება სრულად, ერთ დოკუმენტში, ბრძანების ოფიციალური წესით გაცნობიდან 1 (ერთი) თვის ვადაში.
3. მე-2 პუნქტში მითითებული მოთხოვნის შეუსრულებლობა გამოიწვევს სუბიექტის დაჯარიმებას დაკისრებული ჯარიმის ორმაგი ოდენობით.
4. სუბიექტს დაევალოს ჯარიმის გადახდა სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ პასუხისმგებლობის დაკისრების შესახებ ბრძანების ოფიციალური წესით გაცნობიდან 30 დღის ვადაში შემდეგ ანგარიშზე: სახაზინო კოდი/ანგარიშის ნომერი 302003549.
5. ჯარიმის მე-4 პუნქტით დადგენილ ვადაში ნებაყოფლობით გადაუხდელობის შემთხვევაში მისი იძულებითი აღსრულება მოხდება სამსახურის მიერ გაცემული სააღსრულებო ფურცლის საფუძველზე.
6. ბრძანება ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში შეიძლება გასაჩივრდეს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის საბჭოში (მის: ქ.თბილისი, გორგასლის N16) ან თბილისის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ.თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი N64).

დავით მჭედლიძე

სამსახურის უფროსი

ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხვედველობის სამსახური

